პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ
И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР
И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1984 წ.
№ 232 (7793) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

ისევ ახალი დებიუტი და ისევ ყაიმი

როგორც ვიუწყებოდით, 3 დეკემბერს კარპოვ—კასპაროვის მატჩის ოცდამეცხრე პარტია ყაიმით დასრულდა. გაეცანით ამ პარტიას.

ოცდამეცხრე პარტია

კარპოვი — კასპაროვი

ლასკერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 e6 4. მc3 c6 5. e3 მbd7 6. კd3 dc 7. კ:c4 b5 8. კe2 კb7 9. a3 b4 10. მa4 ba 11. ba კe7 12. 0—0 0—0 13. კb2 c5. ყაიმი.

როგორც ყოველთვის, კარპოვმა თამაში ლასკერის პაიკით დაიწყო, მაგრამ კასპაროვმა ამ მატჩისთვის ახალი სადებიუტო სისტემა აირჩია — მერანოს დაცვა. ეს დებიუტი პირველად გამოჩენილმა პოლონელმა დიდოსტატმა აკიბა რუბინშტეინმა გამოიყენა 1924 წელს მერანოს (იტალია) ტურნირში და მისი სახელწოდებაც აქედან მოდის. მერანოს დაცვას უაღრესად რთული და მძაფრი თამაში მოჰყვება ხოლმე, თუ, რა თქმა უნდა, ორივე მეტოქე საბრძოლველადაა განწყობილი. ახლა კი, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონს არ სურდა თამაშის გართულება და ამიტომ უპრეტენზიო გაგრძელება აირჩია.

მე-9 სვლაზე კასპაროვმა მაინც სცადა პოზიციისთვის „ცეცხლი“ წაეკიდებინა — ახლებურად ითამაშა, მაგრამ ბრძოლა მაინც ვერ გაამწვავა და ორიოდე სვლის შემდეგ თავად შესთავაზა ყაიმი კარპოვს.

ამრიგად, კვლავ ლიდერობს ანატოლი კარპოვი — 5:0 (+5—0=24). ოცდამეათე პარტია დღეს, 5 დეკემბერს გაიმართება.

1986 წლის ოლიმპიადა აბუ-დაბიში

დღეს, 5 დეკემბერს, საბერძნეთის ამ ქალაქში საზეიმოდ დაიხურება მოჭადრაკეთა ოლიმპიადა და მუშაობას დაამთავრებს ფიდე-ს გენერალური ასამბლეა.

ასამბლეაზე გამოცხადდა, რომ **შემდეგი, 1986 წლის** საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება **არაბთა გაერთიანებული ემირატების დედაქალაქ აბუ-დაბიში**, 1988 წლის ოლიმპიადას კი **საბერძნეთი უმასპინძლებს.**

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი ან მსოფლიო ჩემპიონი — მატჩისა და მატჩ-რევანშის წაგების შემთხვევაში დაიშვება ოთხი მოჭადრაკის ტურნირში, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ახალი მეტოქე უნდა გამოავლინოს.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიეკუთვნათ კიდევ ორ მოჭადრაკეს — სომხეთის ცნობილ ოსტატებს არშაკ პეტროსიანსა და სმბათ ლპუტიანს.

ოლიმპიადის დასკვნითი, XIV ტურის წინ ლიდერთა სატურნირო მდგომარეობა ასეთი იყო: ქალები — სსრ კავშირი — 30 ქულა, ბულგარეთი — 26, რუმინეთი 25,5; ვაჟები — სსრ კავშირი — 38,5, ინგლისი — 34, აშშ — 33.

თვის მონაგარი

სპორტული სეზონის ფინიშზე

იწურება 1984 წელი, ფინიშს უახლოვდება სპორტული სეზონიც — საზაფხულო სახეობებში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ასპარეზობა გაიმართა. ტელეტაიპს უკვე მოაქვს ცნობები წლის საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენად მოწყობილი რეფერენდუმების შესახებ, თუმცა, ბუნებრივია, ქართული სპორტის გულშემატკივარს, უწინარეს ყოვლისა, შინაური ამბები აინტერესებს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ამ თერთმეტი თვის მანძილზე არაერთ ტურნირში, პირველობასა თუ ჩემპიონატში ისახელეს თავი, წარუმატებლობაც საკმაოდ იყო და ყველაფერ ამაზე პირუთვნელად მოვუთხრობდით მკითხველებს. მაინც როგორია ქართული სპორტის აქტივი და პასივი 1984 წლის სეზონში? მოდით, ნუ დავასწრებთ მოვლენებს, ვნახოთ, რას მოგვიტანს სპორტული დეკემბერი, ამჯერად კი ნოემბრის სპორტულ პანორამას გადავავლოთ თვალი.

მოხდა ისე რომ ნოემბერში სპორტის ხუთ სახეობაში გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატები. თანამედროვე ხუთჭიდელთა, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირს თბილისმა უმასპინძლა, ძალოსნებს — სოხუმმა, მოფარიკავეებს — ქუთაისმა. თუ ადრე რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებები ძირითადად უინტერესოდ და უმაყურებლოდ ტარდებოდა, ამჟამად მეტად სასიამოვნო მეტამორფოზის მოწმენი გავხდით: თურმე, თუ მოვინდომებთ, შეგვძლებია შინაურული ასპარეზობები ნამდვილ სპორტულ ზეიმად ვაქციოთ, სანიმუშოდ, მაღალორგანიზებულად მოვაწყოთ. ყოველ შემთხვევაში, ნოემბრის ტურნირებმა, განსაკუთრებით თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა და მოფარიკავეთა ჩემპიონატებმა, უდავოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მონაწილენიცა და მაყურებლებიც კმაყოფილი დარჩნენ.

ცხადია, ეს ფაქტი შეჯიბრების ორგანიზატორთა და სპორტული ბაზების მესვეურთა საქმიან ურთიერთთანამშრომლობაზე, პასუხისმგებლობაზე მეტყველებს. ალბათ ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ რესპუბლიკურ ტურნირებს, იმას, თუ სად და როგორ ჩავატარებთ ამ შეჯიბრებებს, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სპორტული ცხოვრებისათვის, ახალი ტალანტების წარმოჩენა-დაოსტატებისათვის, სპორტის პროპაგანდისთვის. ამიტომაც საქართველოს ჩემპიონატებს კვლავაც არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება, საბოლოოდ უნდა დავუბრუნოთ კუთვნილი ავტორიტეტი!

ფეხბურთი. ნოემბრის მატჩებით დასრულდა ხანგრძლივი საფეხბურთო სეზონი. განაწილდა მედლები და ადგილები, გამოვლინდნენ გუნდები, რომლებმაც გაისისთვის უმაღლეს ლიგაში ადგილები უნდა დაუთმონ ვორონეჟის „ფაკელს“ და ქუთაისის „ტორპედოს“. ერთი სიტყვით, საფეხბურთო ვნებათა ღელვა მინელდა, მაგრამ დადგა დრო სეზონის შედეგების ანალიზისა და შეფასებისა. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, სპეციალისტებს ეკუთვნით. „ლელო“ საფეხბურთო სეზონს, ტრადიციულად, შესაბამისად შეაფასებს, 1984 წლის სეზონი კი, უნდა ითქვას, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ქართული ფეხბურთისთვის. ქუთაისის „ტორპედომ“ უდიდესი თავგამოდების ფასად კვლავ გაიკვლია გზა უმაღლესი ლიგისკენ. ცხადია, გარკვეული პოზიტიური ცვლილებები მოხდა თბილისის „დინამოში“, გუნდმა ბევრ შეხვედრაში მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე თითქმის უბრძოლველად დათმობილმა მატჩებმა საგრძნობლად გააუფერულა საერთო შთაბეჭდილება. ასეა თუ ისე, „დინამომ“ სატურნირო ცხრილში წინა ჩემპიონატთან შედარებით ცხრა საფეხურით მაღლა გადაინაცვლა, „პროგრესის თასი“ დაიმსახურა და უკეთესი მერმისის იმედიც ჩაგვისახა. რა თქმა უნდა, რეპუტაციის ალსადგენად, მოწინავეთა შორის ადგილის დასაბრუნებლად გუნდის ხელმძღვანელობას, კოლექტივის თითოეულ წევრს კვლავაც დიდი შრომა და მონდომება მართებს, ჩვენ კი, გულშემატკივრები, ოპტიმისტურად განწყობილნი დაველოდებით ახალ სეზონს.

ნოემბერშივე დასრულდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლის ფინიშმა მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა გადამწყვეტი მატჩები საპრიზო ადგილებისთვის, რაც მთავარია, რამდენიმე გუნდმა მალაკვალიფიციური თამაშით მოგვაწონა თავი. თუმცა, ჩემპიონატს ხარვეზებიც ჰქონდა, ფეხბურთის სამმართველოს სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ წესების უხეში დარღვევის, ცალკეულ ფეხბურთელთა უდისციპლინობის არაერთი ფაქტი გამოავლინა. დამნაშავეები მკაცრად დაისაჯნენ, მაგრამ ჩვენი ფეხბურთი ამ „ტრადიციული სენისგან“ მაინც ვერ განიკურნა. ხშირად ქულებისა და ადგოლებისთვის ნებადართული თუ აკრძალული ხერხებით ბრძოლას ეწირება მთლიანად ქართული ფეხბურთის ინტერესები. რესპუბლიკის ჩემპიონატის უპირველესი დანიშნულება ყოველთვის იყო და არის ოსტატთა გუნდებისთვის რეზერვის მომზადება, პერსპექტიულ ფეხბურთელთა აღზრდა. ჩვენი მწვრთნელების საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ.

კალათბურთი. ნოემბრის მიწურულს თბილისის სპორტის სასახლეს კვლავ ეწვია დიდი კალათბურთი. საქართველოში სპორტის ამ სახეობას ბევრი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი ჰყავს, სპორტის სასახლის ათიათასიანი ტრიბუნა ყველა მსურველს ვერც იტევს. ასე იყო ამჯერადაც. თბილისის „დინამოს“ კოლექტივმა ტურის ბოლო დღეს ოფიციალური მადლობა გადაუხადა მაყურებელს ერთგული ქომაგობისა და მხარდაჭერისთვის. ვფიქრობთ, არც ჩვენი კალათბურთელები დარჩენილან ვალში. გუნდი მაქსიმალურად მობილიზებული გამოდიოდა მოედანზე, თავდაუზოგავად იბრძოდა თითოეული მეტოქის წინააღმდეგ, ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვა და როგორც სწორი სწორს, ისე ეთამაშა საბჭოთა კალათბურთის აღიარებულ ლიდერს — ცსკა-ს. ჩემპიონატის ამ ეტაპზე ბევრი რამ გაირკვა და ვიმედოვნებთ, რომ თბილისის „დინამო“ უთუოდ მოხვდება იმ რვა გუნდს შორის, რომლებიც გაისად მედლებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დღეებში თბილისის კიროვის სახელობის პარკში საზეიმოდ გაიხსნა მშვენიერი სპორტული კომპლექსი ნორჩი კალათბურთელებისთვის. იქვე მოეწყო საკავშირო ტურნირი ჩვენი გაზეთის პრიზზე. კიროვის პარკი ხომ ერთ დროს კალათბურთის ნამდვილი მექა იყო, ბევრმა ჩვენმა სახელმოხვეჭილმა სპორტსმენმა სწორედ აქ აიდგა ფეხი და სასიხარულოა, რომ ამ პარკში კვლავ გაჩაღდა საკალათბურთო ცხოვრება. ვინძლო, აქ დაოსტატებული ახალგაზრდობა ისევ ვიხილოთ თბილისის „დინამოს“ რიგებში.

ტყვიის სროლა. კარგა ხანია, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს რამდენადმე მნიშვნელოვანი გამარჯვება არ მოუპოვებიათ და აი, გამოჩნდა ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენი, რომელმაც ჩინებული შედეგი აჩვენა საკავშირო თასის გათამაშებაში — 598 ქულა 600 შესაძლებლიდან! თბილისელმა გოჩა სარუხანოვმა ამ მაჩვენებლით II ადგილი დაიკავა მე-9 ვარჯიშში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ოცი წლის სპორტსმენი საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი გახდა. სპეციალისტების აზრით, მას უთუოდ კარგი მომავალი აქვს. ახლა სარუხანოვი გულმოდგინედ ემზადება მომავალი შეჯიბრებებისათვის.



კლასიკური ჭიდაობა. თვის მონაგარში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენმა მოჭიდავეებმა. არაერთ საკავშირო ტურნირში ისახელეს თავი ჭაბუკმა ქართველმა ფალავნებმა. ცხადია, ამ ტურნირებს დიდ შეჯიბრებათა რანგს ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ ნოემბერში მოპოვებული მედლები უთუოდ საგულისხმოა ჭიდაობის ქართული სკოლისთვის, რომელსაც ბოლო ხანს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოემატა. ერთ-ერთი მათგანია ცხრამეტი წლის ბათუმელი „კლასიკოსი“ ჯემალ ბაკურიძე — საბჭოთა კავშირის 1984 წლის ჩემპიონი ახალგაზრდებში. ქალაქ ბრეჟნევში გამართულ ასპარეზობაში ბაკურიძემ ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო და ღირსეულად დაიკავა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური, მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში კი ბრინჯაოს მედალი ერგო ქუთაისელ მათე სვანიძეს.

ცხადია, ნოემბერში მხოლოდ გამარჯვება როდი იყო ქართველ სპორტსმენთა თანამგზავრი. სპეციალისტებმა საფუძვლიანად უნდა გააანალიზონ ის წარუმატებლობანი, ჩვენს სპორტში არსებულ ნაკლოვანებებზე და პრობლემებზე რომ მიგვითითებენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ახალ სიმაღლეებზე ასვლას, ახალი სპორტული მიჯნების დაძლევას. სპორტში კი მწვერვალებს რა გამოლევს.

რესპუბლიკის ჩემპიონი

მარად არძენიძე

თავისუფალი ჭიდაობა

დაიბადა 1967 წელს ბათუმში.
წონა 52 კგ, სიმაღლე 157 სმ.
სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.
მწვრთნელი გრიგოლ გოგიჩაიშვილი.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1980 წელს.
რესპუბლიკური ახალგაზრდული ჩემპიონატების პრიზიორი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სამგზის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის.

მინსკის „დინამო“ თბილისში ითამაშებს

12 დეკემბერს გაიმართება უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები, რომელშიც მოსკოვის „სპარტაკისა“ და მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელებიც მონაწილეობენ.

მინსკის „დინამომ“ პირველი მატჩი პოლონეთის ქალაქ ლოძის „ვიძევთან“ მეტოქის მინდორზე მოიგო ანგარიშით 2:0. როგორც ცნობილი გახდა, მინსკელ ფეხბურთელთა კოლექტივის სურვილით საპასუხო მატჩი „ვიძევთან“ გაიმართება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ღია პირველობა ძალოსნობაში

როცა ყველა დაინტერესებულია...

ამ დღეებში თბილისში გამართულ ასპარეზობაში ას ოცდახამმა 14-15 და 16-17 წლის ძალოსანმა ჩააბარა სპორტული ხიმწიფის გამოცდა. სპეციალისტებმა გულდასმით შეამოწმეს ჩვენი რეზერვის შესაძლებლობები სპორტის ამ სახეობაში.

ქალაქის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის (დირექტორი ნოე ლობჟანიძე) ღია პირველობა, რომელმაც რესპუბლიკის რვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი, საჩხერე, ახალციხე, წალკა) შეკრიბა, რამდენიმე მიზანს ისახავდა. პირველ რიგში, ძალოსნობის პოპულარიზაციას და მასობრივ სახეობად ქცევას; 1969-1970 წლებში დაბადებულ ყმაწვილთა შერჩევას საქართველოს ნაკრებისთვის, რომელიც გაისად, მარტში, მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის პირველობაში. გარდა ამისა, ტურნირი მეორე ასაკობრივი ჯგუფისთვისაც შესარჩევი იყო ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებისთვის, რომელიც ივლისში მინსკში გაიმართება.

შეჯიბრება (მთავარი მსაჯი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გურამ ფარულავა) კარგად იყო ორგანიზებული, რაც, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ სპეციალისტთა მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. ორივე დღეს ჩვენი რესპუბლიკის მოზარდი ძალოსნების ასპარეზობას დაესწრო ამ სახეობის ყველა მესვეური. სხვათა შორის, არა ვალდებულების მოხდის მიზნით, არამედ საკუთარი სურვილით, ყველას ერთი საფიქრალი ჰქონდა — არ გამორჩენოდა მეტ-ნაკლებად ნიჭიერი და პერსპექტიული ძალოსანი. სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკური მასშტაბის ასპარეზობათა ორგანიზაციული მხარე საგრძნობლად ამაღლდა, რაც მეტად სასიხარულოა.

ტურნირზე თავი გამოიჩინეს მინაძემ, კახიაშვილმა, მიასნიკოვმა, თოდუამ. პირველმა სამმა სპეციალური პრიზებიც დაისაკუთრა, მათ შორის მიასნიკოვმა და მინაძემ თავიანთ ასაკობრივ ჯგუფში მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის, ხოლო კახიაშვილმა „გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის“.

გაგაცნობთ ორივე ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით.

1967-1968 წლებში დაბადებულნი:

ზაზა ხეტეიშვილი, აბესალომ ელკანოვი, გოჩა თოდუა, ვლადიმერ მიასნიკოვი, იური მხითარიანი (ყველა — თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა), გოჩა ჰიტაძე („კოლმეურნე“, საჩხერე), ამოტ არუთინიანი (თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა).

1969-1970 წლებში დაბადებულნი: რობერტ მურადოვი, თემურ ამანათოვი (ორივე — „განთიადი“, წალკა), ფრიდონ პაპულაშვილი (თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა), თამაზ ქუთელია (ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, სოხუმი), ოვიკ გრიგორიანი, ელგუჯა მინაძე (ორივე — თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა), კახი კახიაშვილი („განთიადი“, ცხინვალი), ერვონდ ხაჩატუროვი (თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა), მალხაზ ჰიტაძე („კოლმეურნე“, საჩხერე), ამბარცუმ ტოროსიანი („კოლმეურნე“, ახალციხე), ვაჟა ზაქარაძე („კოლმეურნე“, აჭარა).

ჟოლა დავითაძე.

სურათზე: ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული სოხუმელი თამაზ ქუთელია ასპარეზობისას.

ანატოლი აზიზოვის ფოტო.



ბალავერი

ბავშვი რომ ბურთს დასდევს, ველოსიპედით ხეირნობს, ჭიდაობს ან ჩოგბურთს თამაშობს, ამაში საკვირველი არაფერია — ეს ყველაფერი თამაშია და ჯერ არსად, არასდროს, არც ერთ ბავშვს თამაშზე უარი არ უთქვამს. საკვირველი ის არის, პატარა რომ ჭადრაკს თამაშობს. უფრო საკვირველი კი ის, რომ სპორტის ამ სახეობას ბავშვი ხშირად ძალდაუტანებლად, თავისი ნებით და დიდი სურვილით ირჩევს.

ჭადრაკი ფიქრია, დაუნჯებული ფიქრი და ამიტომაც გვიკვირს, როცა ვხედავთ, რომ ამ მალხაზი გოგო-ბიჭების თვალებში ეშმაკუნები კი დახტიან, მათი ასაკისთვის უჩვეულოდ ჩაფიქრებულან, ჭადრაკის დიდ და საინტერესო სამყაროს გაუტაცნიათ...

ვზრუნდებით დაგვიძდილს

„ლელოს“ 1984 წლის 26 მაისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „გაუსწორდეს საბოლოო ანგარიში“, რომელიც ეხებოდა ჩაის მრეწველობის მახარაძის საწარმოო გაერთიანებაში ფიზკულტურის მეთოდისტის საშტატო ერთეულის უკანონოდ შემცირებას.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ რედაქციამ მიიღო გაერთიანების გენერალური დირექტორის გ. ბაბილოძის, პარტბიუროს მდივნის გ. ჯახუტაშვილისა და პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის თ. ძიძიშვილის პასუხი, რომელსაც დღეს გთავაზობთ: „ჩაის მრეწველობაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეთა ნორმატივების დადგენის თაობაზე ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანიზაციის ბრძანების საფუძველზე მახარაძის საწარმოო გაერთიანებაში საშტატო ერთეულების შემცირებისას მოხდა ზოგიერთი უზუსტობა. გაზეთში მოყვანილი ფაქტები სწორია. ფიზკულტურის მეთოდისტის საშტატო ერთეული აღდგენილია და ო. ხომერიკი გამოძახებულია ადრინდელ სამუშაოზე“.

300 კილომეტრი ქართლსა და კახეთში

წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თბილისის ავტომოყვარულთა რესპუბლიკური კლუბის მუშაობაში. ჩატარდა ოთხი ავტორალი და სამი შეჯიბრება ავტომობილის ფიგურულ ტარებაში (აქედან ერთი — „ლელოს“ პრიზზე). სეზონი დაასრულა ქალაქის ღია პირველობამ რალში „ფოთოლცვენა-84“, რომლის სტარტზე 17 ეკიპაჟი გამოვიდა.

„ლეგენდის“ ავტორი იყო ავტომოყვარულთა კლუბის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გოგა დავიდოვი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი — ამავე კლუბის წევრი და ასევე სპორტის ოსტატობის კანდიდატი დავით ლოლუა.

300-კილომეტრიანი ექსპეტაპიანი დისტანცია საჯარიმო ქულების გარეშე ექვსმა ეკიპაჟმა გაიარა. საუკეთესო შედეგით პირველი ადგილი დაიკავა წინა რალში გამარჯვებულმა თემურ ამირანაშვილისა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი) და ზურაბ იაშვილის (საავტომობილო გზების სამინისტროს „საქსახგზაპროექტის“ ინჟინერ-გეოლოგი) წყვილმა. მეორე ადგილზე გავიდა ვახტანგ ქარსელაძისა და გარიკ კოგოსოვის, მესამეზე — თემურ ლუაშვილისა და ნოდარ მჭედლიშვილის ეკიპაჟი. ეს უკანასკნელი წყვილი საგარეჯოდან გახლავთ, თითქმის ყველა რალში მონაწილეობს და ხშირად საპრიზო ადგილზე გადის.

საწყენია, რომ ორჯონიკიძის რაიონის ავტოინსპექციამ ვერ უზრუნველყო ვაჟა-ფშაველას ძეგლის წინა მოედანზე რალის ერთ-ერთი კომპონენტის — ფიგურული სვლის გამართვა, უფრო სწორად, შეჯიბრების ორგანიზატორებს არ მისცა ამისი საშუალება. საკვირველი კი არის, რადგან ყოველი ავტორალის წინ შეჯიბრების ჩატარების ნებართვას ავტომოყვარულთა კლუბი იღებს... რესპუბლიკის ან ქალაქის ავტოინსპექციისგან.

* * *

სურათზე: „ფოთოლცვენა-84“-ის გამარჯვებული ეკიპაჟი — მძღოლი თემურ ამირანაშვილი (მარცხნივ) და შტურმანი ზურაბ იაშვილი.

რეპლიკა

თოვლმა ბევრი რამ შეგვახსენა

თოვლი მოულოდნელად დაატყდა თავს კვირაძალს ჩაძინებულ თბილისს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, დეკემბრის დამდეგს თოვლს უნდა ელოდო, ნაადრევი ზამთარი ხშირად იცის ჩვენში.

...კარგად, რომ იტყვიან, ხვავრიელად მოთოვა, თეთრად გადაიპენტა არემარე — ხეები, ბუჩქები, სახლების სახურავები მთაწმინდის, ვაკის პარკისა თუ თბილისის ზღვას შემორტყმული ფერდობები. მართალია, სულ მალე თეთრად შეღებილი ქუჩები გაუთავებელმა ალმა-დალმა მსრბოლმა ტრანსპორტმა ჩვეულებისამებრ ტალახის ფრად შეღება, მაგრამ ბავშვების გულის გასახარებელი თოვლი პარკებში მაინც ბლომად დევს.

გოგო-ბიჭებმა დილაადრიან ტრადიციისამებრ ფუნიკულიორის პლატოს — მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკს მიაშურეს. ზოგი ფეხით ადიოდა, ზოგი მანქანით, ზოგიც ფუნიკულიორით. 10 საათისთვის საბაგირო გზაც ამუშავდა...

ჩვენც გავემართეთ მთაწმინდაზე. სამაერო ვაგონში პატარა ბიჭუნები დაგვემგზავრნენ. 67-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელები გამოდგნენ. ხელში თვითნაკეთი ციგები ეჭირათ. ერთ მათგანს კი პატარა ოთხკუთხა ფიცარი ამოედო მკლავქვეშ.

— შენ არა გაქვს ციგა?

— არა, მაგრამ იქ ვიშოვნი, მაღლა, „პრაკატში“... — მოგვიგო ერთ-ერთმა მათგანმა, 12 წლის კოტე ბატმანიდიმ.

...ვერა, ვერ იშოვა ციგა კოტემ, ვერც მისმა სხვა თანატოლებმა, და ვერც უფრო დიდებმა თუ პატარებმა.

— თხილამურები მეგულებოდა, იმიტომ უფრო ამოვედი ზემოთ — გვითხრა ასე 60-65 წლის კაცმა, ძველი ფოტოაპარატი „ფედ“-ი და გახუნებული ზურგჩანთა რომ ეკიდა მხარზე. ეტყობა ჩვენი ქალაქის სტუმარი იყო.

ტყუილად გარჯილან: პარკში არ არის თხილამურებისა თუ ციგების გამქირავებელი პუნქტი, თუმცა უწინ აქ ჰქონდათ ასეთი.

— სამი-ოთხი წლის წინ იყო ეს, აი ამ ადგილას — გვიპასუხა ერთ-ერთი ატრაქციონის მუშაკმა.

მერე იქვე მყოფმა, გუნდაობით მოღლილმა და ლოყებაწითლებულმა უფროსკლასელებმა (შეიტყეს რა, რომ რედაქციიდან ვიყავით) გაჯავრებულებმა გვთხოვეს:

— დაწერეთ, ეგებ შერცხვეთ და თხილამურები მოგვაქირაონ.

— უნებლიედ გაგვახსენდა ჩვენი ბავშვობა. აი ის წლები, როცა ფუნიკულიორის პლატოზე მოსწავლეთა შეჯიბრებებიც იმართებოდა.. რამდენ სიხარულსა და კმაყოფილებას გრძნობდნენ 13-14 წლის გოგო-ბიჭები. დღესაც გვახსოვს გამარჯვებულთა სახელები — შუნარა ცნობილაძე, ჯემალ თაქთაქიშვილი, სულ პატარებში კი ვადიმ მალოვიჩკო...

— თხილამურები კი გვაქვს, მაგრამ გარეთ არ გამოგვიტანია, არ გვეგონა ასე ადრე თუ ჩამოთოვდა, — გვითხრეს პარკის ხელმძღვანელებმა.—აი, ციგები კი საერთოდ არ გაგვაჩნია, რა ვქნათ, გადარიცხვით არ გვაძლევენ...

თოვლი მართლაც უეცრად ეწვია თბილისს. თუმცა დასაწყისში მოგახსენეთ, დეკემბერში აბა რას უნდა ელოდოთ ბუნებისაგან-თქო. სხვათა შორის, თბილისის უნივერმაღებსა და სხვა სამრეწველო მაღაზიებში არ ელოდებიან „მოულოდნელობას“ — იციან, რომ ნაძვის ხის სათამაშოები დეკემბრის პირველ რიცხვებიდან უნდა გამოიტანონ გასაყიდად დეკემბრის ბოლოს... ახალი წელი ხომ უსათუოდ მოვა!

არ გეგონოთ, მკითხველო, რომ მარტო ფუნიკულიორზე დაგვხვდა ასეთი სურათი, არც ვაკის პარკში და არც სხვაგან თბილისში არ არსებობს თხილამურებისა თუ ციგების გაქირავების პუნქტები.

ოთარ ოთარაშვილი.

რედაქციისაგან: დღეს, როცა ამდენი რამ კეთდება მოსახლეობას შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაუმჯობესებლად, კულტურისა და დასვენების პარკებსაც მოეთხოვებათ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქალაქში?

სამწუხაროდ, წლევანდელმა ზამთარმა, ამ დღეებში მოსულმა თოვლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ თბილისის კულტურისა და დასვენების პარკებში მოისუსტებს ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობა, შემუშავებული არ არის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმა წლის ყოველი დროისათვის. ეს მით უფრო გასაკვირი და დამაფიქრებელია, რომ კულტურისა და დასვენების პარკებში ფიზკულტურულ და სპორტმასობრივ მუშაობას შტატიანი მუშაკები უძღვებიან.

იმედი გვაქვს შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანიზაციები პასუხს მოგვაწვდიან იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა წლევანდელმა ზამთარმა.

ჩვენც გაგვეგონოს „რაინისპირელი მესხი"…

მწერალ-იუმორისტ გიგა მახვილაძეს 50 წელი შეუსრულდა. სპორტის დიდ გულშემატკივარს ვულოცავთ იუბილეს და გთავაზობთ ინტერვიუს ჩვენი რუბრიკის დღევანდელ სტუმართან.

გულშემატკივრის კუთხე

● ჟურნალ-გაზეთებში ქართველი მკითხველი სისტემატურად ხვდება თქვენს ლექსებს, მინიატურებს. ახლა, თუ შეიძლება, თქვენი სპორტული ბიოგრაფია მოგვიყევით.

— ნაძალადევში ვიზრდებოდი. ჩემი ტოლი ბიჭების მსგავსად, გაუთავებლად დავდევდი ბურთს. დავამთავრე ვაკეთა მე-17 სკოლა. აქ სწავლობდნენ მესხი, კალოევი, ხუნდაძე. მერე ისინი 35-ე სკოლაში გადავიდნენ. მეც გულით მინდოდა საფეხბურთო სკოლაში მესწავლა, მაგრამ მშობლებმა არ გამიშვეს, ისე კი ვთამაშობდი ჯერ სკოლის, მერე — რაიონის, სტუდენტობისას—ინსტიტუტის გუნდში.

ფეხბურთს ახლაც ვთამაშობ — ძველებურად თავდამსხმელი ვარ. ბახტრიონის ქუჩაზე ვცხოვრობ. მეზობლებმა კორპუსის ეზო შემოვღობეთ, ასფალტი დავაგეთ, კარები დავდგით, ერთი სიტყვით, მშვენიერი მოედანი მოვაწყეთ. მაყურებლებზეც ვიფიქრეთ — პატარა ტრიბუნას ვაკეთებთ. მოედანს ვიტალი დარასელიას სახელი ვუწოდეთ. აქ თამაშობენ ბავშვებიც, ახალგაზრდებიც, ჩვენც… ბოლო რამდენიმე კვირაა „საერთაშორისო" შეხვედრებსაც ვმართავთ: თბილისში სტუმრად არიან ახალგაზრდა იუგოსლაველი სპეციალისტები — ტელევიზორების ქარხანას აშენებენ. ისინი სასტუმრო აჭარაში ცხოვრობენ და ყოველ კვირა დღეს ჩვენს მოედანზე გვეთამაშებიან.

● ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელებისთვის, სპეციალისტებისთვის ფეხბურთი რომ ცხოვრების უმთავრესი არსია, ეს გასაგებია, მაგრამ ამადვე რომ იქცა ბევრი გულშემატკივრისთვისაც…

— ერთხელ ერთმა ცნობილმა მწერალმა, ძნელი სათქმელია, თბილისის „დინამოზე" გადაგებული გულშემატკივრის დაწყნარება-დაშოშმინება უნდოდა თუ მართლა ასე ფიქრობდა, დაახლოებით ასეთი რამ თქვა საჯაროდ: რა გააჭირეთ საქმე, განა შეიძლება ფეხბურთზე ამდენი კამათი, როცა გარშემო ბევრად უფრო სერიოზული ამბები ხდება? მოდით, იმაზე ვიფიქროთო.

ღმერთმა ნუ ქნას, ფეხბურთზე სერიოზული არაფერი გაგვაჩნდეს, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ეს თამაში ქართველი კაცისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვერსად გავექცევით. რამდენჯერ გაგვიგონია და თავადაც შეგვიმჩნევია: როცა „დინამო" კარგად თამაშობს, ჩვენი ტონუსი მაღლდება, შრომისნაყოფიერებაც მატულობს. თითქმის არასოდეს ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა არის ჩვენთვის ფეხბურთი. ეს თითქოს იმთავითვე მოცემულია ჩვენში და მერეც, გულშემატკივრობის მთელ პერიოდში, ქვეცნობიერად ვგრძნობთ: ჩვენთვის ის ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ფეხბურთი. ვგონებ, ეს მცირერიცხოვანი ერებისთვის ნიშანდობლივი ფაქტია — თავმოსაწონებლად და თვითდამკვიდრებისთვის, სხვა სიმდიდრესთან ერთად, ფეხბურთიც გვჭირდება. ქართველი კაცის ბუნება მაჩანჩალობას ვერ ეგუება და ამიტომაც გვინდა ყოველთვის ვიყოთ ჩემპიონები, ყოველთვის გვყავდეს პაიჭაძის, ღოღობერიძის, მესხის დარი ვარსკვლავები.

● თქვენ იმ თაობის გულშემატკივარი ბრძანდებით, როცა თამაშობდა და ბრწყინავდა თბილისის „დინამოს" საუკეთესო შემადგენლობა, ახალგაზრდებს კი მათი მხოლოდ გვარები გაუგონიათ. ხომ არაფერს გაიხსენებდით?

— ფეხბურთის დღეს, ყველა თაობის ბიჭების მსგავსად, ჩვენც დღესასწაული გვქონდა. როცა ბილეთის ფულს ვიშოვიდით, ღამეს ტროლეიბუსში ვათევდით, რომ დილით სალაროსთან პირველი ვყოფილიყავით. უბილეთოებს კი მეტი გზა არ გვქონდა, ღობეზე უნდა გადავმძვრალიყავით. თუ ამ დროს მილიციელი დაგვიჭერდა, „შავ ყორანში" ჩაგვსხამდა და ისე შორს წაგვიყვანდა, რომ თამაშისთვის ველარ ჩამოგვესწრო. ერთხელ ასე მცხეთაში ამოვჩნდი. მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდი ერთ კაცს, სახლში შემიშვი, რადიოს მოვუსმენ-მეთქი.

ბორის პაიჭაძეზე იმდენი თქმულა და დაწერილა, ველარაფერს დავუმატებ. ჩემთვის და ყველა ქართველისთვის ის მართლაც ფეხბურთის ჯადოქარი იყო და ჯადოქრად დარჩა.

არასოდეს დამავიწყდება თბილისის „დინამოსა" და ბრაზილიის „ბაიას" შეხვედრა „ბურევესტნიკის" სტადიონზე: საკუთარ საჯარიმოში ბურთი მიიღო მესხმა და მეტოქის კარისკენ დაიძრა, მოატყუა რამდენიმე ფეხბურთელი და მეკარის პირისპირ გავიდა. ბრაზილიელმა მცველმა დაივიწყა ყველა საფეხბურთო წესი და კანონი, ორი დიდი ნაბიჯით დაეწია მესხს, ტრუსში სწვდა, შემოაბრუნა, აიტაცა ხელში და გადაკოცნა.

● საშუალო და უფროსი თაობის გულშემატკივრები ხშირად ადარებენ ერთმანეთს ოცი-ოცდაათი წლის წინანდელ და დღევანდელ ფეხბურთს. ნაწილი ძველს ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი — თანამედროვეს. როგორ გგონიათ, სწორია თუ არა საკითხის ამგვარად დასმა და, თუ სწორია, თქვენ რომელი გირჩევნიათ?

— რაც უნდა თვალსაჩინო იყოს პროგრესი, ძველისა და ახლის შედარება ცხოვრების ნებისმიერი სფეროს თანამდევი მოვლენაა. ფეხბურთშიც ასეა. ჩვენ ვაღიარებთ, რომ თანამედროვე ფეხბურთელები უფრო სწრაფები, უფრო ტექნიკურები არიან. მაგრამ ძველ ფეხბურთს ჰქონდა ერთი დიდი უპირატესობა, რომლის მეორეხარისხოვნად მიჩნევა ან უგულებელყოფა არამც და არამც არ შეიძლება.

ვფიქრობ, ყველა თაობის გულშემატკივარი დამეთანხმება: ფეხბურთი პირველ ყოვლისა მაინც სანახაობაა და დასანანია, რომ მან სწორედ სანახაობრიობა დაკარგა. მე ძალიან მომწონდა თამაშის ძველი „დუბლ-ვეს" სისტემა. მისი მთავარი და უდიდესი ღირსება ის იყო, რომ გუნდს აქტიური, გამუდმებული თავდასხმა შეეძლო. რაც უფრო ხშირად უტევს გუნდი, გოლიც მით უფრო მეტი გადის. ფეხბურთი კი იმიტომ გვიყვარს, რომ მას გოლის სიხარული და სილამაზე ახლავს.

● წლევანდელი საფეხბურთო სეზონიც მიიწურა. როგორც იტყვიან, დგება ფიქრისა და განსჯის ჟამი. ჩვენი გუნდის პრობლემებსა და სახვალიო მიზნებზე იმსჯელებენ და იკამათებენ ისინი, ვისაც ეს ევალება. გულშემატკივარსაც თავისი სურვილები აქვს…

— როცა კაცი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, მასზე იტყვიან, კეთილსინდისიერიაო. მაგრამ ფეხბურთში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა სფეროში, ვალის მოხდა არა და არ კმარა. „დინამოს" მაისური რომ გაცვია და მინდორზე გამოდიხარ, მწვრთნელის დავალებასთან ერთად ისიც უნდა გახსოვდეს, რომ შენ ერის ღირსებისა და ინტერესების დაცვა მოგანდეს, რომ მარტო ფეხბურთს კი არ თამაშობ, ეროვნული ენერგიის ჩვენებაც გევალება. უცხოელი მაყურებლისთვის კი, ვისაც შესაძლოა გაგონილი არც ჰქონდეს საქართველო და „ვეფხისტყაოსანი", შენი თამაში შენივე ქვეყნის სავიზიტო ბარათი აღმოჩნდება და უფლება არა გაქვს მას უგულოდ შევსებული, დაჯღაბნილი ბარათი გაუწოდო.

ჩვენ დიდხანს გვეამაყებოდა და დღესაც მოგვწონს მესხისათვის შერქმეული სახელი „მტკვრისპირელი გარინჩა". ჩემი „საფეხბურთო სურვილებიდან" უპირველესია ის, რომ გულით მინდა: არ დაელიოს თბილისის „დინამოს" „მტკვრისპირელი გარინჩები" და უცხოელმა მაყურებელმაც თავის საუკეთესო ფეხბურთელებზე თამამად და სიყვარულით თქვას „რაინისპირელი ან ამაზონისპირელი მესხი…"

ინტერვიუ აიღო
ნანა ჯოხარიძემ.

უძლიერეს არბიტრთა ათეული

კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ გასული სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ათი უძლიერესი მსაჯის სია. ვბეჭდავთ ამ სიას ანბანის მიხედვით:

1. გოგი ავალიშვილი (თბილისი), 2. იური აპოლონოვი (ლენინგრადი), 3. მარის ბერნარდსი (ლიეპაია), 4. იური გოლინსკი(კალუგა), 5. ოლეგ გორბატოვი (კუიბიშევი), 6. მიხეილ გრიგორიევი, 7. მიხეილ დავიდოვი (ორივე — მოსკოვი), 8. ვალდუ სუურკასკი (ტალინი), 9. მურმან ქურიძე (თბილისი), 10. ვლადიმერ შამისი (ლენინგრადი).

უძლიერესთა სიაში, როგორც ხედავთ, ორი ქართველი მსაჯია. ეს ჩვენი რესპუბლიკის არბიტრთა მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს.



გოგი ავალიშვილი

დაიბადა 1947 წელს. მსაჯობა დაიწყო 1965 წელს. 1971 წელს გახდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ხოლო 1979 წელს — საერთაშორისო კატეგორიისა. მონაწილეობა მიიღო მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ევროპისა (1981, 1983 წწ) და მსოფლიოს (1982 წ) ჩემპიონატებში. მსაჯობდა წლევანდელი ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირისა და ევროპული თასების 40-მდე მატჩს. უძლიერეს მსაჯთა ათეულში მოხვდა მეექვსედ. ამჟამად მუშაობს გლდანის რაიონის ალმასკომის სისტემაში.

მურმან ქურიძე

დაიბადა 1944 წელს. მსაჯობა დაიწყო 1962 წელს. 1967 წელს გახდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი, 1977 წელს კი საერთაშორისო კატეგორიისა. მიწვეული იყო მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპის სამ ჩემპიონატზე, სსრ კავშირის უძლიერეს მსაჯთა ათეულში მეოთხედ მოხვდა. მურმან ქურიძე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, ამჟამად მუშაობს გურჯაანის საქღვინმრეწვის გაერთიანების კაჭრეთის ღვინის ქარხნის მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგად.

დადგინდა ქალაქები, ვადები…

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა კონტინენტის საკლუბო ტურნირების 1984-1985 წლების გათამაშებათა დასკვნითი ეტაპის ვადები და ქალაქები, სადაც უნდა გაიმართოს ფინალური მატჩები.

12 დეკემბერს გაიმართება უეფა-ს თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩები, 14 დეკემბერს კი სამივე საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალისტთა წილისყრა მოეწყობა.

უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ქალაქები და თარიღები, სადაც უნდა ჩატარდეს ფინალური მატჩები.

1985 წლის 29 მაისს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში შედგება ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი.

1985 წლის 15 მაისს ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში ერთმანეთს შეხვდებიან თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალისტები.

უეფა-ს თასის ფინალი, როგორც ყოველთვის, შედგება 2 მატჩისგან. ფინალისტები ერთმანეთს შეხვდებიან საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე, გამარჯვებული ამ 2 მატჩის შედეგების მიხედვით გამოვლინდება.

ჭაბუკთა საკავშირო ტურნირები ფეხბურთში

ბიჭვინთასა და ლესელიძეში

ბიჭვინთაში ჩატარდა აფხაზი რევოლუციონერის ალექსანდრე აგრბას ხსოვნისადმი მიძღვნილი ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში 1971 წელს დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ.

საასპარეზოდ ჩამოვიდნენ როსტოვის, ვორონეჟის, აშხაბადის, კრიმსკის, მინსკის, აქტიუბინსკის, გაგრისა და თბილისის კოლექტივები, ითამაშა მასპინძელთა გუნდმაც.

I ადგილი მოიპოვა თბილისის „ნორჩმა დინამოელმა" (მწვრთნელი რევაზ გაგუა), რომელსაც გადაეცა ალექსანდრე აგრბას სახელობის თასი. გუნდის ღირსებას იცავდნენ: აკაკი დევაძე, ირაკლი მაჭავარიანი, გოჩა გუჯაბიძე, გიგა ვიბლიანი, მალხაზ შელია, გოჩა ჩიბაშვილი, ლევან ნადარეიშვილი, ზვიად ჯაფარიძე, სოსო ბარამიძე, გია ჯანგავაძე, დიმიტრი ზეიკიძე, გოგი ხურცილავა, მამუკა მარიამიძე, რევაზ ალექსიძე, სანდრო ლილუაშვილი, სოსო კურატიშვილი, მამუკა ბალბანიშვილი, ანდრეი კიურჯიევი და დათო ყიზილაშვილი.

გურამ დოლენჯაშვილი.

• • •

ლესელიძეში გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ გერმანე კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მოსწავლე ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, მინსკის, ერევნის, სოჭის, თბილისის, სოხუმის, ტყიბულისა და გაგრის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების აღსაზრდელები.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და გაგრის ნორჩი ფეხბურთელები. წვიმის მიუხედავად, თამაში მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ორივე მეტოქის კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. ერთადერთი გოლი, რომელმაც წარმატება მოუტანა გაგრელებს, შეხვედრის 65-ე წუთზე თავური დარტყმით გაიტანა ტრისტან მანაგაძემ. მოსკოველებმა, თუმცა ბევრს ეცადნენ, ველარ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება — პირველი პრიზი გაგრელებმა მოიპოვეს (მწვრთნელი — გია მორგოშია). გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მეკარე გიორგი ბაბუაძემ, ვახტანგ კაკუტიამ, ტრისტან მანაგაძემ და სხვებმა.

სურათზე: გაგრისა და თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი (გაიმარჯვეს გაგრელებმა — 2:1).

ვლადიმერ ტიტოვის ფოტო.

ჭადრაკი

შეხვედრები გზაგასაყართან

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოჭადრაკეთა IX ჩემპიონატი. დასრულდა კიდევ ორი (VI, VII) ტურის შეხვედრები.

VI ტურში სტურუამ დაამარცხა ამბარცუმიანი, აკოფოვმა — ანასტასიანი, სიხარულიძემ — შაბოიანი და ბალათუროვმა — კორსუნსკი. დაზავდნენ გულიევი — აზმაიფარაშვილი, პავლენკო — ჩიქოვანი, ჰუსეინოვი — გ. გიორგაძე. VII ტურში სტურუამ მოუგო გიორგაძეს, სიხარულიძემ — აზმაიფარაშვილს, ამბარცუმიანმა — კორსუნსკის, აკოფიანმა — შაბოიანს და ანასტასიანმა — პავლენკოს. დაზავდნენ ჩიქოვანი — ჰუსეინოვი და ბალათუროვი — გულიევი.

გადადებულ პარტიებში გიორგაძე დამარცხდა პავლენკოსთან, სიხარულიძე — ანასტასიანთან, გულიევი — შაბოიანთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ჩიქოვანი — აკოფიანი.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზურაბ სტურუა — 5,5 ქულა, აშოთ ანასტასიანი (სომხეთი), აიდინ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) — 5-5, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია ბალათუროვი — 4,5-4,5, გია სიხარულიძე —4.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტური დარჩა.

ინფორმაცია

ველოსპორტი

მიუნხენი. აქ ჩატარდა სამოყვარულო ველოსპორტის საერთაშორის ფედერაციის კონგრესი, რომელმაც განიხილა მსოფლიო ველოსპორტის ბევრი აქტუალური საკითხი. საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზატორთა ასოციაციამ სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა მსოფლიოს უძლიერეს ველოსიპედისტთა სია. მთავარი პრიზი მიეკუთვნა ცნობილ ჩეხ საგზატკეცილო მრბოლელს ირჟი შკოდას. საბჭოთა სპორტსმენთაგან ამ ჯილდოს სხვადასხვა დროს ფლობდნენ სერგეი სუხორუჩენკოვი, ივან მიშჩენკო და სერგეი კოპილოვი.

მხატვრული ტანვარჯიში

ნიტრა. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში მოეწყო ინტერვიზიის თასის ტრადიციული გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. მთავარი პრიზი მოიპოვა 14 წლის ბულგარელმა ბაინკა პანოვამ (39,55 ქულა), რომელსაც სპეციალისტები მსოფლიო ტანვარჯიშის „ამომავალ ვარსკვლავად" თვლიან. მეორე ადგილი დაიკავა 15 წლის ომსკელმა მოსწავლემ ტატიანა დრუჩინინამ. უმცროსი ასაკის გოგონებში მთავარი პრიზი გადაეცა 13 წლის კიეველ ბოგდანა ტარასოვას.

თხილამურები

ოსლო. ჩატარდა მოთხილამურეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პროგრამაში იყო ვაჟთა და ქალთა რბოლები. 12-კილომეტრიან დისტანციაზე ვაჟებში ყველას აჯობა ნორვეგიელმა პალ-გუნარ მიკელსპლასმა, ქალებში (ასპარეზობდნენ 9 კილომეტრზე) — ასევე ნორვეგიელმა ანე იარენმა.

ინფორმაცია

სოკ-ის სესია

კვირას, 2 დეკემბერს, ლოზანაში დამთავრდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელიც საგანგებოდ შეიკრიბა ბოლო წლებში ოლიმპიურ მოძრაობაში შექმნილ სიძნელეებზე სათათბიროდ.

სესიის მონაწილეებმა თქვეს, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები დაიცავენ თამაშებში მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტის უფლებას ისე, როგორც ეს ოლიმპიურ ქარტიაშია ჩაწერილი. მხარდაჭერა ვერ ჰპოვა წინადადებამ იმ ოლიმპიური კომიტეტების წინააღმდეგ სანქციების მიღების შესახებ, რომლებიც უარს განაცხადებენ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. რაც შეეხება თამაშებზე მიწვევას, ამიერიდან ამ საკითხს გადაწყვეტს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. პასუხი მიწვევაზე მასვე უნდა გაუგზავნონ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა. უცვლელი რჩება თამაშებში მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენის ვადა.

სესიამ მოისმინა სპორტის ზამთრისა და ზაფხულის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციების მოსაზრებები. ოლიმპიური მოძრაობის წევრთა უმეტესობამ ღრმა შეშფოთება გამოთქვა თამაშების მომავლის გამო. მათ დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები ბევრ პრინციპულ საკითხზე, ოლიმპიურ ასპარეზობათა ორგანიზაციისა და შეჯიბრებაში სპორტსმენთა მონაწილეობის ცალკეულ ასპექტებზე. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და საერთაშორისო ფედერაციები თვლიან, რომ მათ შეუძლიათ უფრო შესამჩნევი როლი ითამაშონ ოლიმპიადის ადგილის დადგენაში, ილაშქრებენ ოლიმპიურ სპორტში კომერციისა და ანგარების სულისკვეთების შეჭრის წინააღმდეგ. სესიის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეჯიბრებები სეულში ჩატარდეს დროის ტრადიციული რეგლამენტის შესაბამისად, თუმცა ამერიკის სატელევიზიო კორპორაციები, რომელთაც იყიდეს ამ შეჯიბრებათა ტრანსლაციის უფლება, შეუპოვრად მოითხოვდნენ ფინალურ ასპარეზობათა გადატანას საღამოს საათებიდან დილისთვის.

სოკ-ის წევრთა უმეტესობა ლოზანაში ჩავიდა იმ გულწრფელი სურვილით, რომ დაეცვა ოლიმპიური იდეალების სიწმინდე და ხელი შეეწყო შექმნილი სირთულეების დაძლევისთვის. მაგრამ გარკვეული წრეები მაინც ყოველმხრივ ცდილობდნენ გაეღვივებინათ კამათი და გაერთულებინათ ვითარება.

სესიის დროს და მისი მომზადების პერიოდში გამოთქმული სურვილებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინებით სოკ-ის აღმასკომსა და მის სამუშაო ჯგუფს დაევალათ გააანალიზონ ეს მოსაზრებები და დაამუშაონ ახალი წინადადებანი მომავალი სესიისათვის, რომელიც 1985 წლის ივნისის თვეში მოეწყობა ბერლინში.

კალეიდოსკოპი

დაგვიანებული პროტესტი

1985 წლის სათხილამურო სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება — მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც ავსტრიის საკურორტო ქალაქი ზეეფელდი უმასპინძლებს, უჩვეულოდ ადრე, იანვარში ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულმა სათხილამურო ფედერაციამ პროტესტი გამოთქვა. მათი აზრით, იანვარი სეზონის გახსნისთვის შეუფერებელი დროა, თუნდაც იმიტომ, რომ სპორტსმენები მთავარი სტარტებისთვის ტრადიციულად მზად არიან მხოლოდ თებერვლის მიწურულსა და მარტში. მაგრამ პროტესტს, როგორც ჩანს, არ მიიღებენ, ვინაიდან ეროვნულმა ფედერაციებმა რამდენიმე თვით ადრე იცოდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თარიღები და მაშინ უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. „აზრის გამოთქმის უფლება, რა თქმა უნდა, ყველას აქვს, — განაცხადა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა, — მაგრამ რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელია. პროტესტმა სულ ცოტა ორი თვით დაიგვიანა".

შეიქმნა სპორტული ოჯახი

ცნობილმა ფინელმა მოთხილამურემ მარია ლიისა ჰიამიალიაინენმა სარაევოს ოლიმპიურ თამაშებში სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ამ წარმატებისთვის იგი, უცხოელ სპორტსმენთა შორის პირველი, იური გაგარინის სახელობის საპატიო პრიზის ლაურეატი გახდა.

ამ ზაფხულს ფინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პატარა ქალაქ სიმპელეში მოეწყო საკმაოდ ხალხმრავალი ქორწილი, რომელსაც ბევრი უცხოელი სტუმარიც დაესწრო. მარია ლიისას გათხოვება საზეიმოდ აღნიშნა ფინეთის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, მით უფრო, რომ მისი მეუღლე არანაკლებად ცნობილი სპორტსმენი სარაევოს ოლიმპიური თამაშების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მოთხილამურე ჰარი კირვესნიემი გახლდათ.

ახალი შეჯიბრება

ბობსლეისა და ტობოგანის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბტ) გადაწყვეტილებით, მსოფლიო თასის გათამაშება ამიერიდან ბობსლეიშიც ჩატარდება. საპატიო ჯილდო გადაეცემათ სეზონის უმთავრეს შეჯიბრებებში გამარჯვებულ წყვილებსა და ოთხეულებს.

საერთაშორისო ფედერაციის მიუნხენის კონგრესმა დაამტკიცა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების თარიღები და ადგილები. გფრ-ში უკვე ჩატარდა პირველი შეჯიბრება. მას ვინტერბერგმა უმასპინძლა. ამას მოჰყვება „სარაევოს თასი" (დეკემბრის დასაწყისი), კენიგსზეეს შეჯიბრება (გფრ-ში), რომლის მოწყობა 20-30 დეკემბერსაა ნავარაუდევი, იგლესის (ავსტრია) თასი (5-6 იანვარი) და ბოლოს ევროპის ჩემპიონატი, რომელიც 16-24 თებერვალს ჩატარდება შვეიცარიის საკურორტო ქალაქ სანკტ-მორიცში.

რეკონსტრუირებულ დარბაზში

როგორც ცნობილია, მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ჰოკეიში 1985 წელს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადაკეთდა სპორტის სასახლე, რომელიც იულიუს ფუჩიკის სახელს ატარებს.

საგრძნობლად გაფართოვდა მაყურებლის ტრიბუნები და პრესის ლოჟა. ტრიბუნები 14 ათასზე მეტ მაყურებელს, პრესის ლოჟა კი ათასზე მეტ ჟურნალისტს დაიტევს.

ორგანიზატორთა ვარაუდით ჩემპიონატის დღეებში უნდა გაიყიდოს 450 ათასი ბილეთი.

ახალი სპორტული ენციკლოპედია

პოლონეთის სპორტული გამომცემლობა „სპორტ ი ტურისტიკა" გამოცემს პირველ სპორტულ ენციკლოპედიას პოლონურ ენაზე. ორტომეული, რომლის საერთო ტირაჟი 50 ათასი ეგზემპლარითაა განსაზღვრული, ცნობებს მოგვაწვდის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა უმთავრეს საკითხზე.

ენციკლოპედია მკითხველებს მოუთხრობს არა მარტო პოლონელ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე, ჭრამედ საზღვარგარეთის „ვარსკვლავებზეც", გარდა ამისა, ბევრ საინტერესო ფაქტზე მსოფლიო სპორტისა და ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან.

ლიდერი მცირე ხნით

ჰოკეისტთა პროფესიული ლიგის (ნხლ) ჩემპიონატის თითოეული მონაწილე, როგორც ცნობილია, სეზონის მანძილზე 80 კალენდარულ შეხვედრას ატარებს. ტურნირის სტარტზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნაკლებად ცნობილი გუნდის „ჰართფორდის" წარმატებამ, რომელიც ერთხანს ჩეპიონატის ლიდერიც კი იყო.

მაგრამ დამთავრდა მარათონული დისტანციის მეოთხედი და ყველაფერი ძველებურად წარიმართა. „ჰართფორდი" აუსტაიდერებში გადაბარგდა, მოწინავე პოზიციები კი ისევ აღიარებულმა ფავორიტებმა — „ედმონტონმა", „ფილადელფიამ", „მონრეალმა" და „ნიუ-იორკ აილენდერსმა" დაიკავეს.

რიბეკი — დორტმუნდელთა მწვრთნელი

ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი ერიჰ რიბეკი, რომელიც წლების განმავლობაში გფრ-ის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის იუპ დერვალის თანაშემწე იყო, ახლა ბუნდესლიგის კლუბს, დორტმუნდის „ბორუსიას" ჩაუდგა სათავეში.

საინტერესოა, რომ რიბეკმა დიდი კამათი გააჩაღა გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციასთან ნაკრების მწვრთნელად ფრანც ბეკენბაუერის დანიშვნის გამო, რადგან ამ უკანასკნელს სათანადო ლიცენზია არა აქვს. ფიქრობენ, რომ რიბეკი დერვალის მემკვიდრედ თვლიდა თავს და სწორედ ამიტომ არის განაწყენებული.

როგორც ცნობილია, საფრანგეთში ჩატარდა ველობოლისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის სპორტსმენები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა (1:0), რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ძმები იან და ინდრჟიხ პოსპიშილები. სხვათა შორის, ეს დუეტი მეთექვსმეტედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

სურათზე: ფინალური მატჩის ფრაგმენტი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ინდიანაპოლისში ჩატარდება...

X პანამერიკული თამაშები, რომელიც 1987 წლის ზაფხულში უნდა გაიმართოს, თავდაპირველად ეკვადორში იყო დანიშნული, მაგრამ ამ ქვეყნის მთავრობამ ფინანსური სიძნელეების გამო უარი განაცხადა ასპარეზობის მასპინძლობაზე. ამ რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ პანამერიკული თამაშები 1987 წლის 17 ივლისიდან 1 აგვისტომდე გაიმართება აშშ-ის ქალაქ ინდიანაპოლისში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 38 ქვეყნის 5000-მდე სპორტსმენი.

ორ მილიონამდე მონაწილე

ბერლინი. ბოლო წლებში გდრის სპორტსმენები წარმატებებს აღწევენ საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენაში. ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები შეჯიბრებათა სიმრავლეს ასახელებენ. და მართლაც, 1982-1984 წწ პერიოდში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა 40 ათასზე მეტი შეჯიბრება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ორ მილიონამდე რბენის მოყვარულმა.

მოციგაავეთა საერთაშორისო...

კენიგსზეე (გფრ). „სამი ტრასის ტურნე" — ასე ეწოდება მოციგავეთა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომლის ბოლო ეტაპი ამ ქალაქში გაიმართა. ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს მიჰაელ ვალტერმა, იორგ ჰოფმანმა (ორივე — გდრ) და სერგეი დანილინმა (სსრ კავშირი).

გაიმარჯვეს კუბელმა სპორტსმენებმა

ჰავანა. ჩატარდა მსოფლიოს 28-ე ჩემპიონატი მოყვარულ ბეისბოლისტთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კუბისა და აშშ-ს სპორტსმენები. ამ მატჩს მაყურებლების სარეკორდო რაოდენობა — 50 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. გაიმარჯვეს კუბელმა სპორტსმენებმა.

კალეიდოსკოპი

რესპუბლიკის სპორტულ გაზეგზე

6-9 დეკემბერი. ბათუმი. XXX რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე მხატვრულ ტანვარჯიშში 1968-73 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15075